ინფორმაცია

დახმარება ბინების ქირაობის შემთხვევების დროს

ავსტრიაში ბინის საქირავებლად საჭიროა ქირა და წინასწარი ფულადი უზრუნველყოფა.

ქირა

ქირა წარმოადგენს ფულს ბინით სარგებლობისთვის.
ქირის გადახდა უნდა მოხდეს ყოველთვიურად.
ყოველი თვის ქირა არის თანაბარი.

წინასწარი ფულადი უზრუნველყოფა

წინასწარი ფულადი უზრუნველყოფა წარმოადგენს 3 თვის ქირას.
წინასწარი ფულადი უზრუნველყოფა მხოლოდ ერთხელ უნდა გადაიხადოთ: ქირავნობის დაწყებამდე.
წინასწარი ფულადი უზრუნველყოფა გამქირავებლისთვის ერთგვარი გარანტიაა.
წინასწარი ფულადი უზრუნველყოფა მოხმარდება საჭირო სარემონტო სამუშაოებს ან ქირის საფასურის გადახდას, თუ თქვენ მას არ გადაიხდით.

წინასწარი ფულადი უზრუნველყოფის სესხი

არ გაქვთ საკმარისი თანხა წინასწარი ფულადი უზრუნველყოფისთვის? მაშინ თქვენ შეიძლება დაგეხმაროთ ქვემო ავსტრიის რეგიონის/მიწის მმართველობა.

ქვემო ავსტრიის რეგიონის/მიწის მმართველობა გასესხებთ ფულს თქვენი წინასწარი ფულადი უზრუნველყოფისთვის.
ამას ეწოდება წინასწარი ფულადი უზრუნველყოფის სესხი.
თქვენ ეს ფული უკან უნდა დააბრუნოთ. თუმცა არ უნდა გადაიხადოთ პროცენტები.

ვისთვის არის წინასწარი ფულადი უზრუნველყოფის სესხი?

- პირებისთვის, რომელთაც აქვთ ავსტრიის მოქალაქეობა
- პირებისთვის, რომელთაც აქვთ თავშესაფრის მიღებაზე დადებითი გადაწყვეტილება

სხვა პირების შესახებ მიმართეთ უწყებას შეკითხვით.

ფულადი უზრუნველყოფის სესხი არ გაიცემა

- თავშესაფრის მაძიებლებზე

- სუბსიდიით დაცვაზე უფლების მქონე პირებისთვის.
  ესენი არიან პირები ნეგატიური გადაწყვეტილებით თავშესაფრის გაცემაზე, მაგრამ დეპორტაციის გარეშე.

როგორ მიიღებთ ფულადი უზრუნველყოფის სესხს?

თქვენ უნდა შეიტანოთ **განცხადება**.
ფორმულარს განცხადებისთვის იპოვნით ინტერნეტში:

http://www.noe.gv.at/Gesellschaft-Soziales/Sozialhilfe/Sozialleistungen/Sozialhilfe_Hilfe_in_besonderen_Lebenslagen.html

ყურადღება: ჯერ განცხადება უნდა დააყენოთ და შემდეგ დაელოდოთ თანხმობას. მხოლოდ შემდეგ შეგიძლიათ ხელი მოაწეროთ ქირავნობის ხელშეკრულებას! **ქირავნობის ხელშეკრულების შემდეგ ვერ მიიღებთ ფულადი უზრუნველყოფის სესხს.**

შეავსეთ ფორმულარი.
გაუგზავნეთ განცხადება სწორ, სათანადო უწყებას, ეს არის

- რაიონული მმართველობის უწყება, ეს არის საოლქო სამმართველო ან მუნიციპალური საბჭო ან
- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით თემი, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ თვითმმართველობას

უწყება გადაწყვეტს, მიიღებთ თუ არა თქვენ ფულადი უზრუნველყოფის სესხს.
ფულადი უზრუნველყოფის სესხს მიიღებთ მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ დახმარება **მხოლოდ ერთხელ** გჭირდებათ.
ეს ნიშნავს შემდეგს: ამის შემდეგ ცხოვრების შენახვის ხარჯების გადახდა თქვენ **თვითონ უნდა** შესძლოთ.
თქვენ საკმარისი ფული უნდა გქონდეთ ქირისთვის, დენისთვის, საჭმლისთვის, ჩასაცმელისთვის და ასე შემდეგ.

ფულადი უზრუნველყოფის სესხი არის მხოლოდ ის თანხა, რომელიც თქვენ ნამდვილად გჭირდებათ.

ფულადი უზრუნველყოფის სესხი მხოლოდ **სასწრაფო მატერიალური სიძნელისთვისაა გამოყოფილი**.

არ არსებობს **განსაზღვრული დებულება** ფულადი უზრუნველყოფის სესხის შესახებ.

უწყებას შეუძლია მოითხოვოს თქვენგან სხვადასხვა რამ.

<u>რა უნდა გააკეთოთ თქვენი ფულადი უზრუნველყოფის სესხისთვის?</u>

- უნდა უპასუხოთ **ყველა კითხვას.**
- უნდა **წარმოადგინოთ ყველა საბუთი,** რომლებიც მნიშვნელოვანია.
- უწყებას უნდა აცნობოთ თქვენი **ქონების** და **შემოსავლის შესახებ**.
  ქონება არის ყველაფერი ის, რაც თქვენ გაქვთ.
  შემოსავალი არის ყველაფერი ის, რასაც თქვენ გამოიმუშავებთ ან იღებთ.

  უწყება თქვენთან ერთად გააკეთებს ბიუჯეტის ანგარიშს.
  უწყება თქვენთან ერთად გააკეთებს სოციალური მდგომარეობის შესახებ მოხსენებას.
  უწყება გესტუმრებათ სახლში.
- თქვენ უნდა **დაეხმაროთ თქვენს თავს,** რომ თქვენი პოზიცია უკეთესი იყოს.
  მაგალითად ფულადი უზრუნველყოფის სესხის ნაწილი თავად გადაიხადოთ.
  ან გადასვლისას მონაწილეობა მიიღოთ დახმარებაში.
  ან გამქირავებელს გაესაუბროთ, თუ ეს საჭიროა.
- თუ მოგვიანებით გექნებათ თანხა, უნდა **შეატყობინოთ უწყებას**.
- ყველა **სხვა დახმარების და ხელშეწყობის შესაძლებლობით** უნდა ისარგებლოთ, მაგ.: საცხოვრებელი ხარჯის დანამატი, საცხოვრებელი ხარჯის სუბსიდია,…

<u>ვინ მიიღებს ფულს?</u>

- ფულადი უზრუნველყოფის სესხისთვის თანხას მიიღებს ყოველთვის **უშუალოდ გამქირავებელი**!
- თქვენ **ვალის დამადასტურებელი მოწმობა** უნდა გამოწეროთ.
  ამით განაცხადებთ, რომ ეს ფული ქვემო ავსტრიის რეგიონის/მიწის მმართველობას უკან უნდა დაუბრუნოთ.
- თქვენ **ხელი უნდა მოაწეროთ** ფულის გადაცემის განცხადებას.
  ამით განაცხადებთ, რომ გამქირავებელი ფულს ქვემო ავსტრიის რეგიონს უკან დაუბრუნებს, როდესაც თქვენ ბინიდან გადახვალთ.

<u>როგორ დააბრუნებთ ფულადი უზრუნველყოფის სესხს?</u>

- ქვემო ავსტრიის რეგიონის/მიწის მმართველობას უკან უნდა დაუბრუნოთ ფულადი უზრუნველყოფის სესხის თანხა. თუ ამას არ გააკეთებს გამქირავებელი.
  სესხის დამადასტურებელ მოწმობაში წერია:
  როდის უნდა გადაიხადოთ და რამდენი უნდა გადაიხადოთ.
  როდესაც ბინიდან გადახვალთ, მთლიანი თანხა უკან უნდა დააბრუნოთ.
- ფულის გადაცემის განცხადებაზე წერია:
  გამქირავებელი იხდის ფულადი უზრუნველყოფის სესხს, როდესაც თქვენ

გადადიხართ.
გამქირავებელი უხდის ფულადი უზრუნველყოფის სესხს უშუალოდ უწყებას.

- გამქირავებელი მაშინ **არ იხდის** ფულადი უზრუნველყოფის სესხს:
  * თუ თქვენ ქირა არ გადაიხადეთ.
  * თუ საჭიროა სარემონტო სამუშაოები.
  * თუ რაიმე გააფუჭეთ.
  მაშინ **ქვემო ავსტრიის რეგიონის/მიწის მმართველობას თავად უნდა დაუბრუნოთ ფულადი უზრუნველყოფის სესხი.**

<u>ყურადღება! ეს მნიშვნელოვანია:</u>

- მხოლოდ მაშინ იქირავეთ ბინა თუ შეგიძლიათ ქირის გადახდა ყოველთვიურად!
- მხოლოდ მაშინ იქირავეთ ბინა, როდესაც დადებთ ქირავნობის ხელშეკრულებას!
  ქირავნობის ხელშეკრულების გარეშე შეუძლებელია უმნიშვნელო უსაფრთხოების ზომის დაცვა.
- ყურადღება გამოიჩინეთ დაზღვევის, ტელევიზორის ჩვენების, ინტერნეტის, მობილურის ყიდვისას და განვადებით ყიდვისას. ამისთვის ყოველთვე უნდა იხადოთ!
- არ დახარჯოთ იმაზე მეტი ფული, ვიდრე ანგარიშზე გაქვთ!
- ყურადღება მიაქციეთ ყიდვისას ფასებს.
  ისარგებლეთ მეორადი მაღაზიებით:
  ნივთები იქ უმეტესად ახალი არ არის, სამაგიეროდ იაფია!
- **პირველ რიგში ყოველთვე ჯერ ქირის, დენის და გათბობის ფული გადაიხადეთ!**